№ 105
პარასკევი, 21 მაისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6— |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8— | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 105
პარასკევი, 21 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია" პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება 7 მან. 25 კაპ.

20 მაისს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, სოფ. მუხრანში გარდაიცვალა

**თ. ლევან გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.**

პანაშვიდი გარდახდილ იქნება ყოველდღე, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. გასვენებისა და დასაფლავების დღის შესახებ შემდეგ იქნება გამოცხადებული. (2—1)

კვირას 23-ს და ორშაბათს 24 მაისს

**ძმ. ნიკიტინთა ცირკში**

გაიმართება მხოლოდ ორი

**კონცერტი**

რუსულის საერო ხოროსი (50 კაცი), რომელიც გამოწყობილი იქნება XIV—XVII საუკუნის ტანისამოსში; მთელს ქვეყანაზედ ცნობილის მომღერალის **დიმიტრი ალექსანდრეს ძის სლავიანსკის** ლოტბარობით და მისი ქალიშვილის მარგარიტა დიმიტრის ასულის სლავიანსკის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება გ. ლანკოს საშპალერო მაღაზიაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის ახალ სახლში, ხოლო კონცერტის დღეს—ცირკში- ხოროში მიიღებიან კარგი ხმის მქონე: პატარა ვაჟები, მომღერალი ქალები და მოზრდილი მომღერალი ვაჟები. პირობების გასაგებად მსურველმა უნდა მიჰმართოს სასტუმროს „როსიას", დილის 10 საათიდგან 2 საათამდე. (1—68—1)

შაბათს, 22 მაისს, საზაფხულო „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში წაიკითხავს საჯაროდ, **დამშეულთა სასარგებლოდ**, ლექციას

ვ. ლ. ველიჩკო

შემდეგის სათაურით:

**„ხვედრი პუშკინის პოეზიისა."**

ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზედ და კითხვა გაგრძელდება არა უმეტეს 1 საათის, ან 1 საათის და 15 წამისა.

ბილეთების ფასი: 3 მ., 2 მ., 1 მ. 50 კ., 1 მ. და 50 კ. შეიძლება, დაწესებულს ვადაზედ, გაზეთ „კავკაზის" სადგომში, აგრეთვე შვეიცარისაგან საზაფხულო „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში. (3—2)

**პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულის გამგე კომისია** ამით აცხადებს, რომ ტფილისში პუშკინის იუბილეი გარდახდილ იქნება 26 მაისს ამ რიგად: ნაშუადღევის პირველ საათზედ, სამხედრო ტაძრის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტზედ, შეიკრიბებიან საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსწავლე ვაჟნი და ქალნი თავიანთის უფროსებით და სხვა და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი, აგრეთვე ის კერძო კაცნიც, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში, აქედგან პანაშვიდის შემდეგ, რომელსაც ტაძარში გარდაიხდიან, მოდღესასწაულენი გაემართებიან წინადვე დადგენილის წესით გოლოვინის პროსპექტითა და სასახლის ქუჩით პუშკინის ბაღისაკენ, სადაც პუშკინის ძეგლს გვირგვინებით შეამკობენ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულში და გვირგვინით შეამკოს ძეგლი, უნდა წერილით ან სიტყვიერად აცნობოს ეს კომისის თავმჯდომარეს, ან წევრთ, სახელდობრ: ა. მ. კოლიუბიაკინს (იუნკერთა სასწავლებელში).

ვ. ლ. ველიჩკოს („კავკასის" რედაქციაში).

ე. ნ. გროზდოვს (ახალ არსენალის ქუჩაზედ № 9).

ლ. პ. მასტიცკის (პოლიცმეისტერის კანცელარიაში).

პ. ა. ოპოჩინინს (ლაბორატორიის ქუჩაზედ, სტატკოვსკის სახლი).

ნ. ვ. სტრუვეს, (ბაღის ქუჩაზედ, № 19).

კ. ნ. შულიინს, (ახალი ყორღანოვის ქუჩა, ორნატსკის სახლი). (3—უ.—1)

ტფილისის ვაჭართა სტაროსტა და მისი ამხანაგი

სთხოვენ ტფილისის 1 და 2 გილდის ვაჭართ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ კვირას, 23 მაისს, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში. კრებამ საკომერციო სასწავლებლის წესდების მე-21 §-ის თანახმად, უნდა აარჩიოს საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე და ხუთი წევრი. (1—20—1)

**გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის—„შუამავალის"** წარმომადგენელთა წლიური კრება **დანიშნულია ოცდა ხუთ მაისს**, სამშაბათს, პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა.

2, არჩევა გამგეობის ორის წევრისა, მდივნისა და მოლარისა.

3, მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანახმად,—ახალის წესდებისა, უკეთუ მანამდე კამისია წარმოადგენს შემუშავებულს.

4, ნებართვის მიცემა ამხანაგობის მმართველისათვის საჭირო სესხის აღებად.

5, ხარჯთ-აღრიცხვა 1899 წლისა.

მმართველი ს. ქეიშვილი (5—6.—4)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** $6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან, მათისავე თხოვნის თანახმად, ტფილისის სამოსამართლო პალატის მიწის-მზომელთა უფროსნი თანაშემწენი—კოლ. რეგისტრ. ქოქაშვილი და გოგილაძე, ორივენი 1899 წლის 5 მაისიდგან.

## შემოწირულობა

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ 16 და 17 მაისს გამართულ ბაზარს შესწირეს:

კნ. ელენე ალექსანდრეს ასულმა ბებუთოვისამ—ორი ვაზა და ლიკიორის პრიბორი.

კნეინა ანნა ივანეს ასულმა და კნეჟნებმა ნინო და მარიამ ბარათაშვილებისამ—ათი სხვა-და-სხვა ნივთი.

მარიამ ივანეს ასულმა დემურიამ—ორი მშვენიერი ნივთი.

ანიკო მათეს ასულმა ჩიჩიპაიამ—ორი ხელოვნურათ ნაკერი პორტფელი.

თავ. ფაველენიშვილის კანტორამ—5 მანათი.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა—ერთი ყუთი ლიკიორი.

ანასტასია პეტრეს ასულმა იმნაძისამ—ნაკერი პორტფელი და ბავშვის კაბა.

ელენე დოდაშვილისამ—ჩითის კურტკა.

კუკიის მეორე საქალაქო სკოლის უფროს განყოფილების მოსწავლეთ—ოქრო-მკედით და თალლითით ნაკერი საათის ჩასადები ქოში.

ანიკო ნიკოლოზის ასულმა ყიფიანისამ ორი სხვა და სხვა ფარფორის ნივთი.

მინო ნაბალაძისამ ოცდა ხუთი სხვა და სხვა ნივთი.

გიორგი ივანეს ძე გძელიევმა სამი ფარფორის ნივთი.

გაბრიელ ჩარახჩიანმა—თორმეტი სხვა და სხვა ნივთი.

კნ. ანასტასია მიხეილის ასულმა ამირეჯიბისამ—ორი თავის ხელით დახატული სურათი ჩარჩოებით.

კნ. სოფიო ამირეჯიბისამ—ხრუსტალის 3 ვაზა, ორი იაპონიური ვაზა და სხვა და სხვა ნივთები.

ელისაბედ ჩერქეზიშვილისამ—ერთი მუთაქა.

თავად ივანე გივისძე ამილახვარმა—25 მ.

ტფილისის გუბერნატორის მეუღლემ 15 მ.

კნ. ნატალია ალექსანდრეს ასულმა ხერხეულიძისამ—19 მ.

ეკატერინე თადეოზის ასულმა სტაროსელსკისამ 25 მ.

კლავდია ვასილის ასულმა სერებრიაკოვისამ—5 მ.

კნ. მარიამ ნიკოლოზის ასულმა ბუქყიევისამ—5 მ.

იაკობ გოგებაშვილმა 10 მ.

ამავე ბაზრობისთვის კნ. ელისაბედ გიორგის ასულის ერისთავის თაოსნობით შეგროვილ იქმნა 25 მანეთი და ასი სხვა-და-სხვა ნივთი.

## ახალი ამბავი

*** სამხედრო სასწავლებლების უმთავრესმა სამმართველომ გამოუგზავნა ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორს იმ მცირე წლოვან ყმაწვილთა სია, რომელნიც უნდა მიღებულ იქმნან კორპუსში სახელმწიფო ხარჯით, თუ ისინი ეგზამენს გარდაიხდიან და მკურნალის შემოწმებით სამხედრო აღზრდას აიტანენ. მშობლები, რომელთა შვილებიც ეგზამენს გარდაიხდიან, ვალდებულნი არიან მიიყვანონ ბავშვები კორპუსში 24 აგვისტოს მკურნალის მიერ საბოლოოდ შესამოწმებლად.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ბათუმსა და ბაქოს შუა მეამე სახალხო მატარებელი იქმნას შემოღებული. ამ მატარებელს სახელად ჩქარი მატარებელი ერქმევა და გაჩერდება მხოლოდ დიდ სადგურებზედ.

*** ა. ნ. თაიროვს მცხეთის ტაძრის განსაახლებლად შეუწირავს 600 მანეთი.

*** კავკასიის სამთო გამგეობის უფროსი დ. ს. ს. შოსტაკი დაბრუნდა ბაქოდგან ტფილისს.

*** წელს განზრახვა აქვთ დაიწყონ სახაზინო ტყეების მოწყობა ახალციხის მაზრაში.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი ს. ს. რიბინი დანიშნულ იქმნა იმავე სასამართლოს წევრად.

*** ქალაქის გამგეობამ საყოველთაო ბრძანებით აცნობა გამგეობის ყველა თანამდებობის კაცთ, რომ მათ მიერ მოღვაწეობის აუსრულებლობისათვის ქალაქის გამგეობა პასუხისგებაში მისცემს ქალაქის დებულების მე-154 მუხლის ძალით.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: დიდუბის ქუჩა გაფართოვდეს 10 საჟენამდე და ამის შესახებ საპჭოს მოხსენება წარუდგინოს. ამასთან აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ბარბარე ლორთქიფანიძისას ჩამოერთვას მისი ადგილი და სასყიდელი კანონის ძალით დაენიშნოს. ეს შუამდგომლობა იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ბარბარე ლორთქიფანიძისა თავისს ადგილში, რომელიც საჭიროა ქუჩის გასაფართოებლად, 1894 წ. თხოულობდა ათასს მანეთს და დღესკი 30,000 მანეთზედ ნაკლებს არა სჯერდება.

*** სოფ. აწყურში მტკვარზედ ხის ხიდის ასაშენებელ ხარჯად გამოანგარიშებულია 24,311 მან.

*** როგორც „ტფ. ფ."-ს ატყობინებენ, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გურია-სამეგრელოს ეპარქიის კათედრა გადატანილ იქმნას ქ. ფოთიდგან ოზურგეთში.

*** ყარსის რკინის გზაზედ ამ რამდენსამე დღის წინად შემდეგი უბე-

დურება მომხდარა. ერთს სადგურს სახურავი ჩამოჰქცევია და დაუშავებია სამი კაცი, რომლებიც იმ დროს სადგურში თურმე იმყოფებოდნენ. ყველაზედ უფრო საკვირველი ის იყო თურმე, რომ ორი-სამის წუთით წინ, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, სადგურის შენობა შეუმოწმებია ტეხნიკოსთა კომისიას, და საეჭვო ვერა უპოვნია რა... სახურავი ჩამოქცეულა იმ დროს, როცა ხსენებულს ტეხნიკოსებს შენობიდგან სულ 30—40 ნაბიჯიც არ გაევლოთ. („ახ. მიმ.“)

*** სოფ. გაჭარი, (სიღნაღის მაზ.). 13 მაისს, ნაშუადღევის მეხუთე საათზედ კარდენახის მხრიდგან მოვიდა სეტყვა და მთელის ანაგისა და ვაქირის ვენახები დასეტყვა, სეტყვა გადაჰყვა მაშნაარისაკენ. ცოტა ხანს გასტანა, თორემ უფრო ძლიან დააზარალებდა წინამხრის სოფლებს. სეტყვას მოჰყვა წვიმა, რომელმაც დიდი ნიაღვრები გააჩინა.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ 60 მან. გადასდო პუშკინის თხზულებათა სასყიდად, რომლებსაც დაურიგებენ ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოსწავლეთ.

*** 20 მაისიდგან მუშაობა ქალაქის გამგეობაში დაიწყება დილის 9 საათიდგან და გასტანს ნაშუადღევის 2 საათამდე.

## კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებისა.

15 მაისი

კრებას თავმჯდომარეობდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი. საზოგადოებას მოხსენდა თხოვნა ცნობილის მოღვაწის არტემ ანჯაფარიძისა, რომელიცა სთხოვს ქუთაისის სამეურნეო განყოფილებას, რათა მან ფულით, 600 მანეთით, დახმარება აღმოუჩინოს მას, ვინაიდგან იგი სცდილობს გაავრცელოს აბრეშუმის წარმოება ქუთაისის გუბერნიაში. კრებაზედ ბ-ნმა გუბერნატორმა და სხვებმაც ის აზრი წარმოსთქვეს, რომ სამეურნეო განყოფილებას ძლიან მცირე თანხა აქვს და ამ თანხის დარიგებას დიდის სიფრთხილით უნდა მოეკიდნეთო: იგი უნდა გაუნაწილდეს იმისთანა დაწესებულებათა და კაცთ, რომელთაც საქმით დაამტკიცეს, რომ ისინი მართლა საზოგადოების სასარგებლოდ ჰმოქმედობენ და არა პირადის ინტერესებისათვის. აქვე ამასწინ ზოგიერთმა წევრთაგანმა მოაგონა კრებას, რომ ანჯაფარიძის წინანდელი მოღვაწეობა სრულიადაც არ არის იმისი თავმდები, რომ იგი ისე ემსახურებოდეს საზოგადოებას, როგორც ეს სასურველია. ყოველ შემთხვევაში ჯერ ცნობები შევკრიბოთ, სად და როგორ უღვაწნია ბ-ნ ანჯაფარიძეს და შემდეგ გადავწყვიტოთ, მიეცეს შემწეობა, თუ არაო. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ბ-ნ სტ. ქ. ხოჯაევის თხოვნა, რომლითაც იგი ითხოვს გაანთავისუფლოს კრებამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტობის თანამდებობისაგან, რადგან სამსახურის გამო იგი გადადის ქ. ბაქოს. მის მაგიერ კრებამ ერთხმად ამოირჩია სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბ-ნი ზელენინი. ხოლო ბ-ნი ხოჯაევი საზოგადოებამ ამოირჩია თავისს საპატიო წევრად და სამეურნეო სკოლის შენობაში მისი სურათის დაკიდება გადასწყვიტა. საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა ა. ნანეიშვილმაც სთხოვა კრებას, იგიც განეთავისუფლებინა თანამდებობიდგან, მაგრამ კრებამ ეს თხოვნა არ მიიღო და სთხოვა დარჩენილიყო იმ თანამდებობაზედ.

ბოლოს წაიკითხეს მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც ამ ერთის თვის წინად ამოირჩია საზოგადოებამ აქაურის სამეურნეო სკოლის მდგომარეობისა და მისის საჭიროების გასაცნობად. ამ კომისიის დანიშვნა გამოიწვია ბ-ნ მეშჩერსკის რევიზიამ, რომელიც გამოგზავნილი იყო სამინისტროსაგან აქაურის სამეურნეო სკოლის დასათვალიერებლად.

მეშჩერსკიმ, როგორც ამას წინად „ივერიაშიც“ იყო მოხსენებული, არა სასურველ მდგომარეობაში ჰპოვა ეს სასწავლებელი. ამის გამო სამინისტრომ ასეთი სასტიკი მოწერილობა გამოუგზავნა აქაურს საზოგადოებას: „თუ ადგილობრივი საზოგადოება ორის წლის განმავლობაში სასწავლებლის მდგომარეობას არ გააუმჯობესებს, სამინისტრო იძულებული იქნება სასწავლებელი საზოგადოებას ჩამოართვას და თვითონ გაუძღვესო“. ხსენებული კომისია დაახლოვებით და საფუძვლიანად გასცნობია სკოლის ავსა და კარგს და ის დაუსკვნია, რომ სკოლის მიზანი და დანიშნულება გონივრულია, რომ სასწავლო პროგრამმა ზედ გამოჭრილია ადგილობრივის ნიადაგისა და ჰავის თვისებაზედ, და თუ სკოლის საქმე ისე საუცხოვოდ არ მიდის, როგორც ეს ჰსურს ბ-ნ მეშჩერსკის და თვითონ საზოგადოებასაც,—ამის მიზეზად კომისია ასახელებს სასწავლებლის მმართველებს, რომელნიც სამინისტროდგან იგზავნებოდნენ და რომელთაგან არც ერთი წელიწადზედ მეტს არ დარჩენილა სასწავლებელში. ეს კიდევ არაფერი: სკოლის მმართველნი გამოდგნენ სრულიად უვიცნი ადგილობრივის ნიადაგისა და ჰავის თვისებათა. მმართველნი სკოლისა იმას-კი არ აქცევდნენ ყურადღებას, თუ რა დანიშნულებით არის ეს სასწავლებელი დაარსებული, რომ ერთ გარკვეულ გზას დასდგომოდნენ და სასწავლებელი ისე მოემართნათ, როგორც ამას ითხოვდა სკოლის დანიშნულება. არა, თითოეული მათგანი სცდილობდა სასწავლებლისათვის ის სახე და მიმართულება მიეცა, რომელიც პირადად იმას მოსწონდა, მაგალითად, თუ მმართველს შესწავლილი ჰქონდა ბოსტნეულობის მოვლა-მოყვანა, იგი სცდილობდა ეს დარგი მეურნეობისა შეესწავლებინა მოსწავლეთათვის და სხვას დანარჩენს ან სრულიად ყურადღებას არ აქცევდა, ან ძალიან მცირედს. გარდა ამისა, ზოგიერთი მმართველი სასწავლებელში მოსულიყო ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად და არა საშრომოდ. ზოგს მათგანს სრულიად არა ჰქონია უფროსობის ნიჭი და სასწავლებელში წესიერება მეტად დაქვეითებულა. აი, ამ გვარ რყევაში ყოფილა ეს სასწავლებელი დაარსებიდგან და რა ნაირად შეიძლებოდა მისი გაუმჯობესება? სასწავლებელი ჯერ კიდევ ნორჩიაო, ამბობს კომისია, არ არის კარგად გამაგრებული, ამიტომაც ჯერ ხანობით ბევრი არ მოეთხოვება, მით უმეტეს, რომ ნივთიერი შეძლებაც ძალიან მცირე აქვს და ამ საშუალებით არ შეუძლიან შეიძინოს ყველა ის ხელსაწყობი იარაღები და შინაური პირუტყვები, რომლის შემწეობით სასწავლებლის მდგომარეობა ერთიორად გაუმჯობესდება. ამასთან სასწავლებელს არა აქვს საკმაო სივრცის ადგილი, რომ სხვა-და-სხვა მცენარეების მოვლა-მოყვანაში მოსწავლენი ვარჯიშობდნენ. აი, სხვათა შორის, ამ გარემოებისათვისაც მიუქცევია ყურადღება კომისიას და შეუდგენია დაახლოვებით ხარჯთ აღრიცხვა ყველა ამ ხელ-საწყობების შესაძენად. დაახლოვებით ეს ხარჯები უდრის 9,500 მ.ნ. ახლა საზოგადოება იმის ფიქრს შეუდგა, თუ საიდგან იშოვოს ეს ფული? ადგილობრივი საადგილ-მამულო ბანკი ისეთს შევიწროებულს მდგომარეობაშია ახლა, რომ რასაც ყოველწლივ იძლევა, იმაზედ მეტის მიცემა ყოვლად შეუძლებელია მისთვის. ერთმა წევრთაგანმა წინადადება მისცა კრებას, რომ ვთხოვოთ ბ-ნ გუბერნატორს, ნახევარი ამ ხარჯისა საერობო თანხიდგან გადიდოს, ხოლო მეორე ნახევარი სამინისტროს ვთხოვოს ნაწილ-ნაწილ, მით უმეტეს, რომ სამინისტრო დაგვპირდა შემწეობას, თუ საზოგადოება სასწავლებლის მდგომარეობას გააუმჯობესებსო. ბ-ნი გუბერნატორი დაჰპირდა საზოგადოებას, ვიშუამდგომლებ ამ საგნის შესახებ, სადაც რიგიაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მკითხველებს დეპეშებიდგან ეხსომებათ უთუოდ, რომ ამას წინად პარიჟში ფოსტალიონებმა პირი შეჰკრეს და მუშაობა აღკვეთეს. ფოსტალიონებმა ჯამაგირის მომატება მოითხოვეს, ხოლო მთავრობამ არ შეიწყნარა მათი თხოვნა, ამიტომ მუშაობას თავი გაანებეს და განაცხადეს, ვიდრე ჯამაგირს არ მოგვიმატებთ, წერილებს არ დავატარებთო. „Рус. Вѣд.“-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია პარიჟიდგან, სადაც ეს ამბავი დაწვრილებით არის აწერილი. კორესპონდენტი ამბობს, რომ

„ფოსტალიონების მიერ მუშაობის აღკვეთამ ძლიან შეაშფოთა დღე-გუშინაზედ დაყუნა განსაკუთრებით მრეწველნი, ფინანსისტნი და ვაჭარნი. მათ აურებელი მიწერ-მოწერა აქვთ სხვა ქალაქებთან, როგორც თვით საფრანგეთში, აგრეთვე საზღვარგარეთ. ყოველ დღე სავაჭრო, სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებათ საზღვარ გარეთიდგან უთვალავი წერილები მოსდით ამა თუ იმ საქმის შესახებ.

რასაკვირველია, ყველა ამათ არ ესიამოვნათ, როდესაც დილა ადრიან წერილები და კორესპონდენციები არ მიუვიდათ. ბევრმა მათგანმა საფოსტო დაწესებულებას მიჰმართა და გამოუცხადა, დავას აგიტეხთ და ზარალს გიჩივლებთო. ფოსტის უმთავრესს სადგომთან აურებელი ხალხი შეიკრიბა. იქვე იყვნენ ფოსტალიონები თავიანთის ამ ყამად ცარიელის უთებით. იმათთან ლაპარაკიდგან გამოირკვა ყოველივე გარემოება პარიჟისათვის ამ სამწუხარო მოვლენისა. ფოსტალიონები ძალიან უკმაყოფილონი ყოფილან თურმე როგორც სენატისა, აგრეთვე ფოსტათა და ტელეგრაფთა მინისტრისა, რომლისთვისაც უთხოვნიათ ჯამაგირის მომატება მველის, დამსახურებულის ფოსტალიონებისათვის 100 ფრანკის, წელიწადში, ხოლო ახლად შესულთათვის—200 ფრანკისა. „ჩვენი სამსახური ნამდვილი კატორღაა, ამბობდნენ ფოსტალიონები. ზამთარი და ზაფხული, კარგი და ცუდი ამინდი ჩვენთვის არ არის: ყოველ დღეს დილის 6 საათზედ, ხან 4 საათზედაც, მთავარ ფოსტაში უნდა გამოვცხადდეთ, გადავარჩიოთ იქ წერილები და შემდეგ მთელი დღე, 12—14 საათი, დაუსვენებლივ ვიაროთ ქუჩებში. მერე იცით რას ვიღებთ ასეთის მუშაობისათვის? სულ 140 ფრანკს თვეში, ისიც დამსახურებულნი, ხოლო ახლად შესულნი მხოლოდ 80 ფრანკს იღებენ. მერე

# ფელეტონი

## სასურველია თუ არა საღმრთო-საეკლესიო წიგნების მხედრულის ანბანით დაბეჭდვა.

(დასასრული *)

ახლა ვიკითხოთ, იქონიებს თუ არა ხალხზე რამე გავლენას მხედრულის გამეფება ხუცურის მაგიერ? ჩვენი ხალხი საზოგადოდ იმისთანა ხალხად მიაჩნიათ, რომელიც გულგრილად ეპყრობა სარწმუნოებრივს საგნებს. ეს აზრი იმდენად მართალი არ არის, რამდენადაც პირველ შეხედვით ეჩვენება უცხოს. ჩვენი ხალხი არ არის მოკლებული ხალისს შეიგნოს ქრისტიანობრივი სწავლა. იგი მუდამ სცდილობს იქონიოს ნამდვილი წარმოდგენა სარწმუნოებრივი საგნებისა, გაიკვლიოს თავისი რწმენა, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ არ ვეხმარებით. რუსის ოჯახში, თუ ვინმემ წერა-კითხვა იცის, უთუოდ ჰნახავთ ახალს აღთქმას, დავითნს, წმიდანთა ცხოვრებას და სხვა ამგვარ წიგნებს რუსულს ენაზე თანამედროვე სალიტერატურო ანბანით დაბეჭდილს. ჩვენში-კი ამაების ნაცვლად თუ რომელსამე სახლში წაკითხვის ხალისი აქვთ, უფროს ერთ შემთხვევაში მეხვდებით ყარამანიანს, ქალვაჟიანს, სიზმრის ახსნას და სხვა ამნაირ უხეირო და უნაყოფო წიგნებს. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ საღმრთო და საეკლესიო წიგნები არა გვაქვს გამოცემული ნაწილ-ნაწილად და იმ ანბანით დაბეჭდილი, რომელსაც ჰხმარობს თანამედროვე ლიტერატურა. ხუცურის ცოდნა-კი ხალხში იშვიათი მოვლენაა; თუ ვინმე არის ხუცურის მცოდნე, ესენი ალბად ის რჩეულნი არიან, რომელნიც ერთ დროს ან მღვდლებად და ან მედავითნეებად ემზადებოდნენ. ამ მხრივ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს საეკლესიო და საღმრთო წიგნების იაფ-ფასიანი გამოცემა უსათუოდ მხედრულის ასოებით. აქ დავასახელებთ ბრიტანიის საზოგადოების გამოცემას **) და გვეტყვიან, ეს გამოცემა, თუმცა მხედრულის ასოებით არის დაბეჭდილი, მაგრამ მაინც არ ვრცელდება საზოგადოებაშიო. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზად ასახელებენ ჩვენს უხეირობას, მაგრამ რამ გამოიწვია ჩვენი ამგვარი გულ-გრილობა, ამნაირი უხეირობა, თუ არა ზევით აღნიშნულმა გარემოებამ,—პირველ-დაწყებით სკოლებში ქართულის ენის სწავლების უხეიროდ მიმდინარეობამ? ვიმეორებთ, ამ სკოლებმა უნდა შეაყვარონ ხალხს წიგნების კითხვა, მეტადრე საღმრთო და საეკლესიო წიგნებისა. ეს-კი არ ხერხდება, რადგანაც, როგორც ვთქვით, ამას სალიტერატურო და საეკლესიო ანბანების სხვა-და-სხვაობა ხელს უშლის. მოზარდ თაობას აქვს სამართლიანი მოთხოვნილება თანამედროვე ლიტერატურას ადევნოს თვალ-ყური. ეს-კი, რასაკვირველია, აჩვევს მხედრულის კითხვას და ჩვეულებად ექცევა ამ გვარ ანბანით დაბეჭდილ წიგნების კითხვა. ხუცურის წიგნების კითხვა-კი ამის მიზეზით არ ეხერხება. თუ გინდათ შეაჩვიოთ ხალხი სასულიერო წიგნების კითხვას, გაუღვიძეთ ეს ხალისი სკოლაში, მაგრამ ამისთვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ როგორც სკოლაში, აგრეთვე ეკლესიაშიაც სამღვდელ-მსახურო წიგნები მხედრული ანბანით დაბეჭდილი იხმარებოდეს. მაშინ ჰნახავთ, ხალხს კითხვის სურვილი და ხალისი გაეღვიძება თუ არა და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლიან მოველოდეთ გამოცემათა გასაღებასაც.

ქართველს ღრმა შეხედულება აქვს სარწმუნოებაზედ. ის იცავს სარწმუნოების დედა-აზრს, მისს არსებითს შინაარს და არა გარეგან სახეს. ამის დასამტკიცებლად საბუთი ჩვენს ისტორიაში მოიპოვება. მე-XII საუკუნემდე საქართველოს ეკლესიას ჰქონდა იერუსალიმელი ანუ საბაწმინდური წესი ღვთის მსახურებისა; მეთორმეტე საუკუნიდგან კი თანდათან მკვიდრდება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საღვთის-მსახურო წესი. განსაკუთრებით ურბნის-რუისის კრების შემდეგ ძველის წიგნების მაგიერ შემოვიდა ხმარება-ში ათონელ მამათაგან თარგმნილი საეკლესიო წიგნები. ძველი წეს-რიგი საქართველოს ეკლესიაში მღვდელთ-მსახურებისა გაუქმებულ იქმნა და მის მაგიერ ახალი შემოიღეს. თუმცა ძველ წეს-რიგს მომხრეებიც ჰყოლია, მაგრამ ამას არავითარი უთანხმოება არ გამოუწვევია ჩვენში. ***) ამ ნაირის შეხედულობით აიხსნება, რომ ჩვენმა ეკლესიამ არ იცის მწვალებელნი. თვისის რწმენის შინაარსს—მართლ-მადიდებლობას კი მუდამ მედგრად იცავდა ქართველი და არავის შეალახვინებდა. ის ამ შემთხვევაში არავის არ მოერიდებოდა. ამას გვიმტკიცებს კათალიკოზ ანტონის მაგალითი.

სარწმუნოებრივ კითხვებში მღვდელი ქართველისათვის ავტორიტეტია. ჩვენის აზრით, კარგ დროს აღიძრა ზემოხსენებული ლაპარაკი. უსათუოდ საჭიროა გაუადვილოთ მოზარდ თაობას ქართული ენის შესწავლა ისე, რომ მისი ცოდნა არ იყოს ცალმხრივი. ეს ცალ-მხრივობა აცილებული იქმნება მაშინ, როდესაც ანბანი ერთი იქმნება როგორც სალიტერატურო, ისე საეკლესიო სახმარებლად.

აფხაზელი მღვდელი

*) იხ. „ივერია“ № 104.

**) აქ კანტორისაგან გამოცემულ დაბადების შესახებ ლაპარაკი უადგილო იქმნება, რადგანაც ის ხალხისათვის სიძვირისა გამო მიუწვდომელია.

***) იხ. ქრონიკები თ. ჟორდანიასი ნაწ. 1., გვ. 120—121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად? პარიჟში, სადაც უკანასკნელი მუშა დღეში 4 ფრანკს ჰშოულობს და სადაც უკიდურესი ისე მწირია, რომ ჟამაგირი მარტო პურისა და წყლისთვის არ გყოფნის. მართალია, წელიწადში ერთს მუნდირის გასაკეთებლად და სხვა ტანისამოსისთვისაც 50 ფრანკს, მაგრამ ესეც რომ არა გვქონდეს, მაშინ დაგლეჯილ დაფლეთილ ტანისამოსში მოგვიხდება სიარული. სამოსტო უწყება კი აუარებელს სარგებლობას აძლევს სახელმწიფოს. აი, სწორედ ამ მიზეზების გამო მოვითხოვეთ ჟამაგირის მომატება. პალატამ, სიმართლე უნდა ვთქვათ, შეიწყნარა ჩვენი თხოვნა და 2 მილიონი ფრანკიც-კი გადასდო ფოსტალიონების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ სენატმა უარ-ჰყო იგი. უთუოდ სენატიც შეიწყნარებდა თხოვნას, რომ ჩვენის უწყების მთავრობას მოეწადინა. პირ-იქით, ფოსტათა და ტელეგრაფის მინისტრი წინა აღუდგა ჩვენს სურვილს". მინისტრის ასეთს საქციელს ისე აუღელვებია ფოსტალიონები, რომ მაშინვე პირი შეუკრავთ და მუშაობა აღუკვეთიათ.

საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი თანაგრძნობით მიეგება თურმე ფოსტალიონების მიერ მუშაობის აღკვეთას, მაგრამ ბანკებსა, კანტორებსა და სავაჭრო დაწესებულებებში ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი და უკმაყოფილება გამოიწვია. ძალიან სასტიკის თვალით შეხედა ამ საქმეს პარლამენტმაც. პარლამენტიც თუმცა უარს არა ჰყოფდა ფოსტალიონების თხოვნის საბუთიანობას, მაგრამ ამბობდა, რომ, როგორც „მოხელეებს", ნება არ ჰქონდათ პირი შეეკრათ და მუშაობა აეკვეთათო. მთავრობამ გარდასწყვიტა, რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ამ უსიამოვნო საქმეს. დაიბარა რამდენიმე ასი ქალი, ტელეგრაფზედ და ტელეფონზედ მოსამსახურე, წერილების გადასარჩევად, ხოლო წერილების დასატარებლად რამდენიმე რაზმი მოიწვია, მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ არც პირველთ და არც მეორეთ არ შეუძლიათ ფოსტალიონის მაგიერობის გაწევა.

ამისდა მიუხედავად პალატის უარ-ყოფამ ძალიან შეაფიქრიანა ფოსტალიონები. მათ უველაზედ მეტად პალატის იმედი ჰქონდათ,—მხარს დაგვიჭერსო. ამას გარდა ფოსტალიონებს უსაყვედურა, რატომ არ მოითმინეს და ჟამაგირის საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას არ მოუცადეს, რადგანაც სენატის მიერ შეცვლილი ხარჯთ-აღრიცხვა პალატაში უნდა დაბრუნებულიყო და პალატაკი ვინ იცის რას იზამდაო.

# რუსეთი

„პეტერ. უწყ."-ს შემდეგს ამბებს ატყობინებენ როგიდგან მუშათა გაფიცვის შესახებ, რომელიც მოხსენებული გვქონდა ჩვენის გაზეთის გუშინწინდელს ნომერში. მუშაობა აღკვეთეს მუშებმა ზოგიერთს დიდს ქარხნებში. აღელვება დაიწყო მუშათა შორის 3 მაისიდგან. ამ დღეს ერთის ქარხნის („დვუნის") მუშა ქალებმა დაიწყეს უკმაყოფილების განცხადება სამუშაო ქირის დაკლების გამო (35 კ. დღეში). თავდაპირველად ამ გარემოებას არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ მღელვარება, მიღებულ ზომების მიუხედავად, არ შესწყდა და 5 მაისს მუშა-ქალები ცხადად გაიფიცნენ. პოლიციის განკარგულებით გაფიცვის მოთავე ქალები შეპყრობილ იქმნენ, რიცხვით 200-ზედ მეტი, წაიყვანეს ქალაქში (ქარხანა ქალაქ-გარედ იმყოფება) და, ვიდრე მათს მოთხოვნილებას განიხილავდნენ, დაამწყვდიეს ბაღში, რომელიც დაჰკეტეს და გარს დარაჯები დაუყენეს. ქალების ხმაურობამ ბაღთან აუარებელი ხალხი მიიზიდა, რომელმაც აგრეთვე ხმაურობა ასტეხა და რომელიც ვერ გაჰფანტა პოლიციამ, თუმცა ცეცხლის საქრობ მილებით წყალიც-კი გადაასხეს. პირიქით ხალხი უფრო მატულობდა, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ დროს ბრუნდებოდნენ სამუშაოდგან „ფენიქსისა" და სხვა ქარხნის მუშები, (მრავალი მათგანის ცოლები გაფიცულ ქალთა შორის ერივნენ) პოლიციამ ხალხის გასარეკად ერთი როტა ჯარის კაცები დაიბარა. მუშებმა გაარღვიეს ღობე და განათავისუფლეს თავისი ამხანაგი ქალები. აქ მოხდა შეტაკება მუშებსა და ჯარის-კაცებს შორის; პოლიციამაც იარაღი იხმარა, ხალხმა მოწინააღმდეგეთ ქვების სროლა დაუწყო, რომლებსაც ქალები აწვდიდნენ. ბრძოლა მეტად გამწვავდა, მაგრამ ბოლოს ხალხი გაფანტულ იქმნა ჯარის მიერ, რომელმაც თოფები დაუშინა მუშებს. მოკლულ იქმნა 5, ხოლო მძიმედ დაიჭრა 23 კაცი, მსუბუქად 50-ზედ მეტი. შეპყრობილ იქმნა რამდენიმე კაცი. 5 მაისს, ღამით მუშებმა დემონსტრაცია გაუმართეს ქუჩაზედ მათ წინააღმდეგ გამოსულ ჯარისკაცებს. იმავე დღეს, საღამოს, მუშებმა ცეცხლი წაუკიდეს თხუთმეტამდე სამქაო სახლს, იმის გამო, რომ ვიღასაც მუშებში ხმა გაევრცელებინა, „ჩვენი ცოლები მძიმე შრომისათვის ორ-ოდე გროშს იღებენ და ამ სახლებში-კი ხუმრობით წითელ თუმნიანებს ჰშოულობენო". მუშები ამტვრევდნენ სამქაო სახლებში ფანჯრებს, ავეჯეულობას და სხ.. ერთის შეტაკების დროს მძიმედ დასჭრეს თავში ბრანდმეისტერი. ორსავე მხარეზედ მრავალი კაცი დაიჭრა და დაშავდა.

— როგორც უწმ. სინოდის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ამ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში (1895—1899 წ.) სასულიერო უწყებას დაუარსებია 12,000 ახალი სამრევლო საეკლესიო სკოლა. ამ სკოლებში დღეს 800,000 მოსწავლე სწავლობს. ამავე ხნის განმავლობაში დაუარსებია 8,000 ახალი წიგნთსაცავი.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების სამინისტრომ სახელმწიფო საბჭოში შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას საშუალო საქიმიო-სატეხნიკო სასწავლებელი ქ. ვილნაში. ასეთივე საშუალო სასწავლებელი ქ. დონის როსტოვში; დოდზინის საშუალო სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნას უმაღლეს სახელოსნო სასწავლებლად და დაარსებულ იქმნას სამექანიკო სატეხნიკო სასწავლებელი ყუბანის ოლქის ქალაქ მაიკოფში.

— „ს.-პეტ. უწყებას" მდ. ვოლგიდგან ატყობინებენ, რომ მდ. ვოლგის გემებზედ მსახურთ და მომუშავეთ განზრახვა აქვთ საერთო თხოვნა წარუდგინონ მთავრობას იმის შესახებ, რომ იმათზედაც იყოს გავრცელებული საქარხნო კანონი და აგრეთვე კანონი $11^{1}/_{2}$ საათის სამუშაო დღის შესახებ.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, მოსკოველ მესტამბეთ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ პუშკინის დღესასწაულში 26 მაისს. განზრახულია სტამბების მსახურთა (ასოთ-ამწყობთა და სხ.) გამგზავრება პუშკინის ძეგლთან, მისი გვირგვინებით შემკობა და სხ..

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, საფრანგეთის კავშირობის მინისტრის, დელომბრისა, და საფრანგეთის ქვეშევრდომთა ბრიუსელის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის შორის დიდი უთანხმოება ასტყდა სამხედრო ჯაშუშის მეტიეს გამო. ეს განხეთქილება ჯერაც არ გათავებულა: მინისტრი თანამდებობიდგან გადაყენებულად სთვლის პალატის თავმჯდომარეს როლანს და საფრანგეთის ელჩს ბრიუსელში ჟერარს მიანდო, კრება მოახდინოს პალატის წევრებისა ახალ თავმჯდომარის ასარჩევად, მაგრამ როლანი წინანდებურად არ მორჩილდება მინისტრის განკარგულებას და ამტკიცებს, რომ ჩემი დათხოვნა მხოლოდ სავაჭრო პალატის წევრებს შეუძლიათ, რომელთაც ამირჩიესო. საფრანგეთის გაზეთები საქმეში ჩაერივნენ და ზოგნი ერთის მხარეს იჭერენ, ზოგნი მეორისას. მთავრობის გაზეთები სასტიკად ჰკიცხვენ სავაჭრო პალატას, და იმათ შორის, „Eclair"-ი სახელმწიფო ღალატს სწამებს მას. „Figaro", „Matin" და სხვანი აქებენ როლანის საქციელს. „Figaro" სწერს, რომ მეტიე, რომელიც აზრის აგენტი იყო და მისგან ღებულობდა ჟამაგირს, დიდი ხანია, მოკლებულია საშუალებას რაიმე შესამჩნევი ცნობები მიაწოდოს მთავარ-შტაბის საიდუმლო ბიუროს, რადგან იმას დიდი ხანია იცნობენ, როგორც ჯაშუშსო. „Matin"-ის აზრით, საფრანგეთის მთავრობის მუქარა ბრიუსელის სავაჭრო პალატის მიმართ იმის შესახებ, რომ, თუ ჩემი ბრძანება არ შესრულდა, უოველსავე კავშირს გავსწყვეტ მენთაო, თუ მართლა შესრულდა, უმჯობესი იქმნება სავაჭრო პალატისათვის. თუ გამოაშკარავდაო,—ამბობს გაზეთი,—რომ საფრანგეთის სავაჭრო პალატები საზღვარ გარეთ მთავრობის პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენენ და ამასთანავე ისინი ჯაშუშების ბუდედ გამხდარან, ვერავითარ სამსახურს გაუწევენ საფრანგეთის ვაჭართ და მწარმოებელთო. სწორედ ასეთს მდგომარეობამდის მიიყვანს ბრიუსელის სავაჭრო პალატას მთავრობის უხერხული საქციელი, რომელიც ძალას ატანს პატიოსანს კაცებს, თავიანთ ამხანაგათ მიიღონ ჯაშუშიო. გაზეთი ურჩევს ხსენებულს პალატას,—წინააღმდეგობა გაუწიოს სავაჭრო მინისტრს და იმის წარმომადგენელს.

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან ატყობინებენ გაზეთებს, რომ პორტამ ათას გვარი დაბრკოლება აღმოუჩინა მცირე აზიიდგან კავკასიაში გადახვეწილს სომხებს, რათა ამ უკანასკნელთ აღარ შეეძლოსთ თავიანთ სამშობლოში დაბრუნება საცხოვრებლადაო. ოსმალეთის მთავრობა ამბობს თურმე, რომ, როცა მე ნება დავრთეკი სომხებს უკანვე დაბრუნების შესახებ, კერძო კაცები მყავდნენ მხედველობაში, და არა მთელი სახლობანიო; სრულებითაც აზრად არ მომსვლია, რომ ემიგრანტთა რიცხვი, რომელიც დავამტკიცე და რომელთაც სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ, იმათ სახლობათაც შეეხებოდაო. ამ ანგარიშით 10,000 კაცი უნდა დაბრუნებულიყო მცირე აზიაში, მაგრამ ეხლა გამოდის, რომ 10,000 ოჯახს უნდა გადმოსახლება და ეს დიდს განსხვავებას შეადგენსო.

**შეერთებული შტატები.** გაზეთების სიტყვით, შეერთებულ შტატების ზღვათა მინისტრს, ლონგს, ვრცელი პროექტი წარუდგენია მაკ-კინლეისათვის, რომელშიაც ამტკიცებს, რომ შეერთებულ შტატების უფლებათა დასაცველად დიდს ოკეანეზედ საჭიროა, სამოას ერთ-ერთი კუნძული შემოვიერთოთ და იქ მაგარი ციხე ავაგოთო. ლონგის აზრით, ამ საქმისათვის უველაზედ უფრო კუნძული პაგო-პაგო გამოდგება. პრეზიდენტს ძალიან მოსწონებია მინისტრის აზრი, და, როგორც ამბობენ, თავისის მხრივ მოხსენების წარდგენას აპირებს კონგრესისათვის, რომელიც ამ ცოტას ხანში საგანგებოდ უნდა იქმნას მოწვეული სხვადა-სხვა საჩქარო საქმეების გარდასაწყვეტად. ამ მოხსენებაში ის აზრი იქნება გამოთქმული, რომ სამოას არხიპელაგი განაწილებულ იქმნას იმ სახელმწიფოს შორის, რომელნიც ამ არხიპელაგის მფარველებად ითვლებიან, ე. ი. ინგლისსა, გერმანიასა და შეერთებულ შტატებს შორის.

**ჩინეთი.** იტალიის ახალმა მთავრობამაც თუ მოიწადინა სანმუნის ნავთსადგურის დაჭერა, ჩინეთს გარდაწყვეტილი ჰქონია უოველიავე თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგეს იტალიას და მისი მოთხოვნილება არ შეასრულოს. ჩინეთის მთავრობას ასეთი თავისი საქციელი მით უფრო საჭიროდ მიაჩნია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საბუთს მისცემს სხვა სახელმწიფოებს, იმათაც თავიანთ მხრივ მოიწადინონ ჩინეთში ადგილის დაჭერა და იმედიც ექონიონ ამისა, რადგან მაგალითი თვალწინ ექმნებათ. ამ ჟამად ჩინეთის წყლებში იტალიას ექსი ჯავშნიანი გემი უოფილა: ორი—ტოკიოს, ოთხიც—ვუზუნგაში. ამ დღეებში პეკინში მოელიან იტალიის ახალს ელჩს.

**იაპონია.** იაპონიის საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს, მომავალ რვა წლის განმავლობაში დააარსოს იაპონიაში კიდევ ერთი უნივერსიტეტი და შვიდი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი. აქამდისინ იაპონიაში იყო ორი უნივერსიტეტი—ერთი ტოკიოში და მეორე კიოტოში, და ხუთი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი—ტოკიოსა, კიოტოსა, სენდაისა, კუმამოტოსა და განაცავაში. მეექვსე უმაღლესი სასწავლებელი წელსავე გაიხსნება ოკაიამაში. დანარჩენი ახალი სპეციალური სასწავლებლები სად უნდა დაარსდეს, ჯერ არ არის გარდაწყვეტილი.

როგორც გაზეთები ამბობენ, იაპონიის მდიდარ კაცებს სდომებიათ იაპონია-ჩინეთის ბანკის დაარსება იმ აზრით, რომ ჩინეთში მრეწველობა გაავრცელონ და ორივე ქვეყნის აღებ-მიცემობას ხელი შეუწყონ. ბანკის დამაარსებლებს იმედი აქვთ თურმე, რომ ჩინეთის მთავრობა ნებას მისცემს მათ ჩინეთში აქციები გამოსცენ, რადგან ბანკმა უნდა მიიზიდოს არა მარტო იაპონიის ფულები, არამედ ჩინეთისაც.

## დამაკვირდი

მწარე თესლი დაგითესავს,
ტკბილს ნაყოფსა ვით მოელი!

როსტომიანი

* * *

კეთილსა ნუ მოელის ქვეყანა, თუ მისს საკეთილმყოფელად, რაიმე მანქანის ძალით, შეიქმნა სულელი, რომელსა თავი თვისი ბრძნად მიაჩნია.

ლასურიძე

* * *

ცემა რკინისა ცეცხლოვან ჰყოფს ქვათაცა.

წმ. გრიგოლ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩრდილოეთის პოლიუსი ბევრს არ აძლევს მოსვენებას. როგორც ვიცით, მრავალმა მოიწადინა ამ პოლიუსამდე მიღწევა, მაგრამ დღემდის ვერც ერთმა მათგანმა თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ბევრს კაცი კიდეც იმსხვერპლა ამ განზრახვამ. საკმაოა გავიხსენოთ ანდრეს ბედი. თითქმის სამი წელიწადი გადის, რაც ანდრე ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაუდგა თავისის ჰაერონავტით და იმის შესახებ კიდევ არაფერი ისმის. თუმცა ბევრს იმედი აქვს, ანდრე დაბრუნდებაო, მაგრამ მცოდნე კაცები მაინც იმას ამბობენ, რომ საეჭვოა ეს გულადი კაცი ცოცხალი იყოსო. ყველა ამისდა მიუხედავად, ჩრდილოეთ პოლიუსი მაინც მრავალს იზიდავს თავისაკენ. ამ ჟამად ევროპასა და ამერიკაში რამდენიმე ექსპედიცია ემზადება პოლიუსისაკენ წასასვლელად. სხვათა შორის აპირობს გამგზავრებას იტალიის მეფის ძმის წულიც ჰერცოგი ამბრუცისა. ჰერცოგს უკვე შეუძენია გემი, მოუმზადებია საჭირო მანქანები, იარაღი, სურსათი და საზოგადოდ ყველა ის, რაც ასეთ მგზავრობისათვის არის საჭირო. ჰერცოგის ექსპედიცია ათის კაცისაგან შესდგება: თვით ჰერცოგი, გემის უფროსი,—მეგობარი ჰერცოგისა, გრაფი კვირინი, ექიმი, ორი ზღვაოსანი და ოთხი შვეიცარიელი, მთებში სიარულს დაჩვეული კაცი. ამას გარდა ჰერცოგს მიჰყავს თან რამდენიმე ნორვეგიელიც. გემს, რომლითაც ეს ექსპედიცია მიემგზავრება, სახელად ჰერცოგმა „ჩრდილოეთის ვარსკვლავი" დაარქვა. არხანგელსკიდგან ჰერცოგი წაიყვანს თან 120 ციმბირელ ძაღლს და რამდენსამე ესკიმოსს.

ჰერცოგს აზრადა აქვს ჩრდილოეთ ოკეანეში, ერთის რომელისამე კუნძულის მახლობლად, იმ ადგილას, სანამდინაც გემი მისვლას შეიძლებს, საზამთრო ადგილი გაიჩინოს და იქიდგან ძაღლებითა და მარხილებით გაუდგეს ჩრდილოეთისაკენ. ამასთან განზრახული აქვს გზაში სურსათის საწყობები გამართოს, რომ უკან დაბრუნებისას ამ სურსათის ტარება აღარ მოუხდეს. სურსათი ასეთს მგზავრობის დროს დიდს ტვირთს შეადგენს, ამიტომ უქონლობა მეტად გააადვილებს მგზავრობას. ასევე მოიქცა ჰერცოგი ალიასკაში მოგზაურობისა და წმ. ილიას მთაზედ ასვლის დროს. ჰერცოგს თან ორი ჰაერონავტიც ექმნება, რომ საჭიროების დროს გამოიყენოს. ჰერცოგმა წინდა-წინვე თადარიგი დაიჭირა, რომ დაზამთრების დროს ექსპედიციის წევრები უსაქმოდ და მოწყენილი არ იყვნენ. ამ აზრით ჰერცოგს მიაქვს თან მთელი წიგნთ-საცავი, ამას გარდა სხვა-და-სხვა სათამაშო და დასაკრავი, როგორც მაგალითად, გიტარები, სკრიპკები და სხვა. ასე გასინჯეთ ექსპედიციას საკუთარი პიანინოც-კი ექმნება, ასე რომ ჩრდილოეთ პოლიუსის მახლობლად, სადაც ისე იშვიათად მოხვდება ხოლმე კაცი, შეუძლიანთ დაუკრან არიები „რიგოლეტოდგან", „აიდიდგან", და სხვა ოპერიდგან.

ექსპედიცია გაუდგება გზას ამ ზაფხულს, ივნისის ნახევარში და დაბრუნდება უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწად ნახევრის ან ორ წელიწად ნახევრის შემდეგ.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ჲბ)

(დასასრული *)

1015–1016 წ. იმპერატორ ვასილსა და გიორგი მეფეს შორის ასტყდა საშინელი ბრძოლა. ქართველები მხნედ იბრძოდნენ, გარნა იძლივნენ. გიორგიმ მტერს დუთმო 14 ციხე-სიმაგრე ბასიანსა, ტაოსა, კლარჯეთსა და არტან-ჯავახეთში. გარნა 1021 წ. კვლავ შეიბნენ. შუღლი დასრულდა მორიგებით, იმპერატორმა მძევლად წაიყვანა მეფის მემკვიდრე ბაგრატ, შემდეგ ბაგრატ IV, დიდი.

იმპერატორისა და გიორგის მომრიგებელი იყო, სხვათა შორის, ზემორე ხსენებული ზაქარია ვალაშკერტელი, რომელიც, თანამედროვის ლასდივერის მოწმობით, ვასილისა და გიორგის შორის მოციქულობდა 1022 წელს.

და ასე, კალაშკერტს, ყარსში, ანს, ტაოს, ბასიანს და სხ. ქართველი ეპისკოპოსები ისხდნენ. აქაურობაში მეტადრე ტაოსკარსა, ბრიანსა, კლარჯეთსა და კოლა არტაანში, ქართველი ერი მჭიდროდ ჰმოსახლეობდა. გარნა მტერმა გააქრო მათი სახსენებელი. აქვე და აქეთკენვე თავდაპირველად იყო აღმობრწყინებება ქართულმა ჭკუა-გონებამ, აზროვნობამ, მისწრაფებამ. უძველესი ნაშთები ძველის მწერლობისა აქ გაკეთებულა. უდიდესი მწერლები ძველის დროისა აქ დაბადებულან და აქვე აღზრდილან. ეფრემ, მიქაელ, სტეფანე, მტბევარი, საბა, ეზრა, ეფთვიმე მთარგმნელი, გიორგი მთარგმნელი, არსენი და სხვანი აღიზარდნენ აქაურობაში, ოშიზასა, ანჩასა, ტბეთსა და სხ. ჩაქრა აქაური ვერა და საქართველოს თავისუფლებამაც იწყო ლევა, დაცინება, ხრწნა... აღარსად გამოჩნდნენ მამები, რომ, მსგავსად ტბეთის მოღვაწეთა, აემართათ მაღლა სვეტი და თავ გამეტებულად ებრძოლათ მამულის თავისუფლებისა და დიდებისათვის...

ახოვანს მამადმთავარს ზაქარია ვალაშკერტელს წმიდად სცოდნია ბერძნული ენაც. უამისოდ იგი დესპანად არ გამოდგებოდა კეისრის წინაშე. მის ბერძნულ ცოდნას ამტკიცებს თვით ეს ახლად აღმოჩენილი წიგნიც. თითქმის ყველა ყოვლის გვერდზე მოწერილია სახელები ბერძნულიდგანაც. ბერძნული წარწერები აქა-იქაც გვხვდება კიდევ, თუმცა-ღა უმნიშვნელო თვით წიგნის ისტორიისათვის.

ზევით უკვე შევნიშნეთ, რომ ამ ნაშთის ბოლოს არის ერთი ფურცელი სხვა წიგნისა. ეს ფურცელი, ალბად, ეკუთვნოდა იმ სამ წიგნთაგანს, რომლიც „მოიგო“ იაგუნდისძემ (იხ. ზემო). ყოველ შემთხვევაში, ის წიგნი, რომლის ბოლო ფურცელს შეადგენს მისი ნაშთი, შესანიშნავი რამ ყოფილა. რაც-კი გადარჩენილა ამ წიგნის ბოლო ფურცელზედ, აქვე გადმოვწერ.

(ნუსხურ-ბრივის უცანა-სიტყვაობის ხელით ხუცურად):

...და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედისა ჩემისა ႣႠႥႨႧ (დავით) ქართველთა კურაპალატისა *): რომლისამცა სული ბრწყინავს: სასუფეველსა ცათასა:.

ჱა საკსენებლად სულსა მოძღუართა: და მშობელთა ჩემთასა ႠႰႱႤႬႨ (არსენი) ႫႠႫႠႣ (მამად) მთავრისა: ႡႠႩႭჃႰႨႱႱႠ (ბაკურისსა) და თეკლასა: სატრიაქისა: ႠႬ თისა ႣႠႥႨႧႨႱႱႠ (დავითისსა) ႣႠ (და) ႣႠႴႰႨႺჃႪႨႱႱႠ (დაფანჩულისასა).

ჱა მეცა უხმარი შვილი მათი: და არა ღირსი წყალობისა ხსენებულმყავთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა: რათა ერთობით: ღირსვიქმნეთ: აღგილსა მას საწადელსა: მართალთა საყოფელსა: და საუკუნოდ წარუვალსა:

ჱაიწერა ქალაქსა შინა: დიდსა კონსტანტინოპოლის: ახალსა ჰრომსა: დასაბამითგან წელთა: ვითარ ბერძენნი ითვალვენ: Ⴟ: Ⴔ: Ⴌ: ინდიკტიონსა: ႷႩ: ქართველთა ქორონიკონსა: ႱႬ: მეფობასა ჰრომანოზისსა: პატრიაქობასა ალექსისა: და ჩემსა მწირობასა პილურისა მონასტერსა: კელითა შვილისა ჩემისა: ბასილი ეტრატესითა: ქრისტემან სასყიდელი შრომისა მისისაჲ. მიანიჭენ: ა̃ნ:.:

ქორონიკონი სნ უდრის 1030 წელს, და ეს ბასილი—ეტრატაჲ უნდა იყოს ის ბასილი ევსტრატი მალუშის ძე, რომელსაც 1031 წელს გადუწერია ეგთვიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „მცირე სჯულის“ წიგნი. *)

ამ მცირე სჯულის წიგნის ბოლოში (№ 96, კაბად. 361) სწერია: დაიწერა რჯულის კანონი ესე ქალაქსა ღვთივ დაცულსა კონსტანტინეპოლის: ახალსა ჰრომსა ნებითა და ბრძანებითა ღმერთ შემოსილისა წმიდისა მამისაჩუენისა გრიგოლ მთაწმიდელისაჲთა: კელითა გლახაკისი: მწარედ ცოდვილისა: ბასილი: ეტრატი მალუშის: ძისათა: შრომისათვის ლოცვა ჰყავთ: და უცბათ ჩხრეკისათვის შემინდვეთ: ერნო ღმერთ შემოსილნო: დაიწერა წიგნი ესე მონასტერსა ხორას: მეფობა რომანოზისსა: და ქორონიკონი იყო: სნა. (1031 წ.).

მამის მამა ბასილისა უნდა იყოს ბაკური და ბაბუა თეკლა. ბასილის მამის მოძღვრად იხსენიება არსენი მამადმთავარი. ეს უნდა იყოს არსენი ნინოწმიდელი, რომელმაც ნინოწმიდელობა დაუტევა, დავით კურაპალატსა ეწვია და იქიდგან წავიდა ათონს. ეს არსენი მამად-მთავარი ვერ იქმნებოდა დიდი რიტორი, ფილოსოფოსი და მწერალი არსენი კათალიკოზი, რომელიც მოღვაწეობდა მეათე საუკუნის მეორე ნახევარს, რადგან ბასილი ეტრატაჲს დროს უკვე სხვა კათალიკოზები იყვნენ. ჯერ ჯერობით არა სჩანს, ვინ იყო ასათ პატრიარქი, დავითი და დაფუნჩული.

მ. ჯანაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 102.

*) გარდაიცვალა 1001 წელს.

*) ამ წიგნის შესახებ იხ. ჩვენი განხილ- („ივერია“ 1897 წლ., № 41 და 42).

## გამოსადეგი ცნობა

ფაშატის ცხენის რძე ძალიან ჩქარა აქრობს მეჭეჭებს. ეს რძე უნდა წაიცხოთ ღამე და ისე დასტოვოთ, არ მოიწმინდოთ, ვიდრე თვითვე არ შეშრებოდეს.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ პეტერბურგიდგან ქ-ნ ანნა დავითის ასულის გაბაშვილისაგან ერთი მანეთი, კონსტანტინე ბალაშვილისაგან 2 მან., ნატალია ესებუასაგან სამი მანეთი და პ. ესებუასაგან 2 მანეთი მცხეთის ტაძრის გასაახლებელ ფონდის სასარგებლოდ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი

**პარიჟი.** დრეიფუსის საქმე. ბალლო-ბოპრემ დაამთავრა იმ საბუთების ჩამოთვლა, რომელნიც საქმის ხელ-ახლა განხილვის წინააღმდეგია. შემდეგ დაუმატა, მორნარი და მთავარი პროკურორი მანო იმ აზრისა არიან, რომ საქმე განახლებულ უნდა იქმნასო. ბალლო-ბოპრემ წაიკითხა საბრალმდებლო წერილი მანოსი, სადაც აღნიშნულია ათი ისეთი ახალი საბუთის ქაღალდი, რომელთაც შეუძლიან დაამტკიცონ დრეიფუსის სიმართლე. საქმის ხელ-ახლა განხილვას ხელს ვერაფერი შეუშლისო. ჩემის აზრით,—სთქვა ბალლო-ბოპრემ—მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ნაწერის ხელს, ქაღალდს და იმას, დაწერილია ბორდერო დრეიფუსის, თუ ესტერგაზის მიერ. კარგად შესწავლის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილია. მომხსენებელი ამბობს, რომ პოლმეიერი და მოლინიე ამავე აზრისანი არიანო. „ალიაქოთიო,—სთქვა დასასრულ მომხსენებელმა,—რომელიც დრეიფუსის საქმემ გამოიწვია, ამტკიცებს, რომ ეს საქმე არა ჩვეულებრივია. საქმის ხელ-ახლა განხილვის მომხრეთ უსამართლოდ გაჰკიცხეს სასამართლო. ჯარი იმდენად მაღლა სდგას, რომ იგი ჩვენის მსჯელობის საგანს არ უნდა შეადგენდეს. ჯარის პატრონნება არ მოითხოვს, რომ უდანაშაულო კაცი ეშმაკის კუნძულზედ დარჩეს. მე არა გთხოვთ თქვენ,—გამოაცხადოთ, რომ დრეიფუსი უდანაშაულოა. მე ვამბობ, უნდა გადასწყვიტოთ, რომ საქმე ხელ-ახლა იქმნას განხილული და გადასცეთ დრეიფუსი ისეთს სამხედრო სასამართლოს, რომელსაც შეეძლოს მიუდგომელი და ჭეშმარიტი განაჩენი დაადგინოს“ (ტაშის ცემაა). მთავარმა პროკურორმა თავის დასკვნა წამორსთქვა. იგი ამტკიცებს, რომ ერთად ერთი ჩემი სურვილი სიმართლის აღმოჩენა არისო. ბორდერო აგვისტოშია დაწერილი და არა აპრილშიო, როგორც საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული, ამბობს იგი. მანო სცდილობს შემდეგ დაამტკიცოს, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილია. 1894 წლის ექსპერტიზა შემცდარი იყო და შეეძლო 1897 წლის და აგრეთვე 1894 წლის სასამართლოს წევრებიც შეცდომაში შეეყვანა. მანო ხვალ განაგრძობს ლაპარაკს.

**პარიჟი.** ანტი-რევიზიონისტთა გაზეთები ამბობენ, რომ ბალლო-ბოპრე მიუდგომელი კაცი არა ყოფილაო.

**ჰააგა.** დღეს გამოქვეყნებულ იქმნა რუსეთის წინადადება სამედიატორო სასამართლოს შესახებ. წინადადება დამყარებულია შემდეგს საფუძველზედ: თუ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ხელშეკრულებაზედ ხელი უწერიათ, უთანხმოება მოხდა, მათ იარაღის აღებამდე უნდა მიჰმართონ მოსარიგებლად ერთს ან რამდენსამე სხვა სახელმწიფოს. თუ უთანხმოების საგანი პოლიტიკური ხასიათისაა, მაშინ სხვა სახელმწიფოთ შეუძლიანთ თავისით ჩაერივნენ საქმეში და მეგობრულის მორიგების წინადადება მისცენ. სამედიატორო სასამართლო ნამდვილ და ჭეშმარიტ საშუალებად არის მიჩნეული უთანხმოების ასაცილებლად. სახელმწიფოთ პირობა უნდა დასდონ მიჰმართონ ხოლმე სამედიატორო სასამართლოს, თუ სადავო საქმე საერო ინტერესებს არ შეეხება. ამას გარდა სახელმწიფოთ ერთმანეთ შორის შეუძლიანთ პირობა დასდონ იმისა, რომ სამედიატორო სასამართლო სავალდებულო იყოს.

**პარიჟი.** საკასსაციო პალატა. სხდომა დაიწყო 11 საათ. 5 წუთ. მანომ განაგრძო თავისი დასკვნა. იგი ამტკიცებდა, რომ ის წერილები, რომლის ავტორადაც თვით ესტერგაზიმ თავისი თავი სცნო, დაწერილია ისეთსავე ქაღალდზედ, როგორზედაც ბორდეროო. მანომ დაუმატა, რაკი ბორდეროს საქმის შესახებ ესტერგაზი გამართლებულ იქმნა, ამიტომ არ შეიძლება მეორედ სამართალში იქმნას იგი მიცემულიო. რაც შეეხება დრეიფუსს, მანო იმის გამართლებას-კი არა თხოულობს, არამედ იმას ამბობს, რომ არის საკმაო საბუთები, რომელნიც საეჭვოდ ჰყოფენ 1894 წლის განაჩენსაო.

**პარიჟი.** ასსიზთა სასამართლო. დარბაზი ხალხით იყო სავსე. მთავარმა ბრალმდებელმა განაცხადა, საქმე იმას-კი არ შეეხება—კარგი კაცები არიან თუ არა დერულედი და გაბერი, არამედ იმას,—ჩაიდინეს თუ არა მათ ისეთი დანაშაული, რომელიც სასჯელს მოითხოვსო. შემდეგ იგი საქმის ფაქტიურ მხარეს შეეხო.

**პარიჟი.** დღეს დილით დიუპიუს მოლაპარაკება ჰქონდა სამხედრო და სჯულის საქმეთა მინისტრთან. მოლაპარაკების შემდეგ დიუპუი, კრანცი და ლებრე ელისეის სასახლეში წავიდნენ ლუბესთან. ამბობენ, სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ გამოძიება მოახდინონ ასსიზთა სასამართლოს წინაშე გენერალ ერვეს საქციელის შესახებაო. ჩვენების ჩამორთმევის დროს ერვეს უთქვამს, რომ დერულედს აზრადა ჰქონდა აღედგინა ჯარის მიმართ ნდობა, რომელიც შერყეულ იქმნა იმის წინააღმდეგ დაწყობილ აგიტაციითაო. შეიძლება, რომ ერვეს სასტიკად მოექცნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებ თინათინა გიორგის ასულს ფორაქაშვილისას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს კარდენახის საქალებო სკოლას შემოსწირა ათი მანეთი.

მღვდელი მ. ბენაშვილი


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აუწყებს ყველას**, რომ ამა წლის 24 მაისს იმის თანადასწრებით მოხდება საბოლოოდ საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს ახლად შეკეთებული ქალაქის **ორ-სართულიანი ქარვასლა** (შიოევისეული) აბანოებთან. ქარვასლის ძირითა სართული შეიცავს 4 დუქანსა და 4 ოთახს, ზემოთა სართული 12 ოთახს სამზარეულოებით. ამას გარდა სახლს ორი სარდაფი აქვს.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—6—3).

სოფელ კასპში, რკინის გზის სადგურთან ახლო **ისყიდება** ანუ ქირავდება საზაფხულოდ

**ოთხი ოთახი**

ავეჯით და ორხოებით მოწყობილი, წინ ეზოთი და მიწით, ზომით ერთ დესეტინამდის. ფასის შესატყობად მიმართეთ მელქო კუთხაშვილს (კასპში, ამილახვარის სახლში).

ქ. ქუთაისში

ახლად გაიხსნა

**ღვინის საწყობი**

ი. გოკიელოვის შვილებისა

ფ ა ს ე ბ ი:

| | | | | ბოთლი | ფუთი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | უჭურჭლოთ | მ. კ. |
| № 10 | ღვინო | სვირისა | 15 კ. | 2 | 30 |
| 9 | „ | „ | 18 „ | 2 | 80 |
| 8 | „ | „ | 20 „ | 3 | — |
| 8 | „ | კახური | 20 „ | 3 | 20 |
| 7 | „ | „ | 25 „ | 4 | — |
| 6 | „ | „ | 30 „ | 4 | 80 |
| 5 | „ | „ | 40 „ | 6 | — |
| 4 | „ | „ | 50 „ | 7 | — |
| 3 | „ | „ | 60 „ | 9 | — |
| 2 | „ | „ | 80 „ | 12 | — |
| 1 | „ | „ | 1 მან. | 15 | — |
| ყიფიანებისა | „ | „ | 30 კ. | 5 | 40 |

(10—52—6)

**კბილის ექიმი**

**ა. გ. სოლოლაშვილი**

ღიილებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

[illegible]

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

თხზ. ი. პ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, ჩვენ გავუგზავნით. ადრესი: ტფილისი, ივანე პავ... როსტომაშვილს.